პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 2 (3486)

1968 წ. 4 იანვარი, თარიღი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ჟაბოტინსკი „ოვიდასის“ ზღურბლთან!

ახალი წლის წინ მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ძალოსანთა წინაოლიმპიური ტურნირი, რომელშიც შესანიშნავი წარმატება მოიპოვა დედამიწის ყველაზე ღონიერმა კაცმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლეონიდ ჟაბოტინსკიმ.

ამ დიდებულმა ათლეტმა შარშან 590 კილოგრამამდე აიყვანა მსოფლიო რეკორდი სამჭიდში (ძძიმე წონა). ლეონიდს ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდები ცალკეულ მოძრაობებშიც აჭიმვაში — 201,5, ატაცში — 175,5, აკვრაში — 219.

პოდოლსკში გამართულ შეჯიბრებაში ჟაბოტინსკიმ სამჭიდის ჯამში 600 კილოგრამი დააგროვა. ამავე ტურნირში მან 185-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა. ესეც ახალი მსოფლიო რეკორდია.

სამჭიდში მსოფლიო რეკორდის დამყარებისას ჟაბოტინსკიმ აჭიმვაში 197,5, ხოლო აკვრაში 217,5 კგ აჩვენა. აკვრაში მეოთხე დამატებით ცდაზე მან 218,5-კილოგრამიანი შტანგა დასძლია.



სურათზე: ლ. ჟაბოტინსკი.

ცეცხლის თავგადასავალი

პარიზი, 2 იანვარი. მიუხედავად სხვადასხვა, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი სიძნელისა, ოლიმპიური ცეცხლი განაგრძობს მოვალდებულ მოგზაურობას საფრანგეთის მიწაზე. აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში მისი ყველაზე ხაში მტერი გახლდათ ძლიერი ქარი. სწორედ ამიტომ, როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, იგი 15-ჯერ ჩაქრა, ერთხელ კი, მთებში, სიცივის მსხვერპლიც შეიქნა, როცა მისი მკვეთავი—გაზი პროპანი გაიყინა. მაგრამ მის საშველად მუდამ მზად იყო მეშახტის ლამპაში მოთავსებული „დუბლიკატი“.

ფრანს პრესის საagენტო წერს, რომ იურას მთებში ოლიმპიურ ჩირაღდანზე მზადდებოდა... თავდასხმა. თურმე, მის მოტაცებას აპირებდნენ. ამას ამტკიცებდა ერთი უცნობი, რომელმაც პოლიციაში დარეკა. ასეა თუ ისე, მოთხილამურე რობერ ბაიმ და მისმა ორმა ასისტენტმა ერთ ადგილას შენიშნეს სიგნალები, რომლებსაც ვიღაც უცნობი ჯიბის ფარნით იძლეოდა. ეს მათ საეჭვოდ მიიჩნიეს და სახიფათო ადგილს გვერდი აუარეს — მარშრუტი შეცვალეს.

X თეთრი ოლიმპიადის ცეცხლი გრენობლისკენ მიდის!

სტატისტიკა, სტატისტიკა...

გრენობლი, 3 იანვარი. 1540 სპორტსმენი ჩამოვა X თეთრ ოლიმპიადაში სასასპარეზოდ. ეს იქნება „თეთრი თამაშების“ რეკორდი, რომელიც აქამდე ინსბრუკის ოლიმპიადას ეპყრა — 1414 მონაწილე.

გრენობლში ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება აშშ-ს გუნდი — 119 სპორტსმენი. შემდეგ: გფრ — 106, გდრ და საფრანგეთი — 95-95, ავსტრია და სსრ კაშირი — 92-92.

ყველაზე პოპულარული იქნება შეჯიბრებები სათხილამურო სპორტში, რომლებშიც 429 სპორტსმენი ისასპარეზებს. ჯოკეისტთა ტურნირი 288 კაცს მოუყრის თავს, სამთო-მოთხილამურეთა — 249-ს. მეციგურავეთა სტარტებზე 201 მრბოლელი გამოვა, ბობსლეიში პირველობისთვის 125 სპორტსმენი იბრძოლებს, ხოლო ფიგურულ ციგურაობაში — 122.



ჯუჯი...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის III პარტია. მეტოქეებმა კვლავ ფრანგი ოსტატის რაფაელის დებიუტი გაითამაშეს. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ, 69-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1,5 : 1,5. IV პარტია გათამაშდება 5 იანვარს.

ყველაზე მოსავლიანი წელიწადი

ტოკიო, 31 დეკემბერი. ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა ლენინგრადელ ვ. კოსინსკის მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1 წუთი, 06,7 წამი. 22 წლის არმიელმა სპორტსმენმა 8 ნოემბერს დამყარებული ეს რეკორდი საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს მიუძღვნა.

სულ 1967 წელს წყლის ბილიკების ოსტატებმა 73-ჯერ გააახლეს მსოფლიო რეკორდები, აქედან ვაუთა 16 და ქალთა 21 სახეობაში. შარშანდლამდე ყველაზე მოსავლიანი იყო 1962 წელი, როცა სპორტსმენებმა მიღწევათა ცხრილში 67 შესწორება შეიტანეს.

1967 წელს ვაუებში თავი გამოიჩინა 15 წლის როლანდ მატესმა (გდრ), რომელიც სამი მსოფლიო მიღწევის ავტორია გულაღმა ცურვაში. ქალებიდან ყველაზე მეტი რეკორდის (4-4) ავტორები არიან აშშ-ს სპორტსმენები — კეტი ბოლი (ბრასი) და დები მაიერი (თავისუფალი სტილით ცურვა).

ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

◆ **ვინიპეგი**, 3 იანვარი. ჰოკეისტთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გუშინ სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა შვეიცის ეროვნული გუნდი — 3 : 0.

◆ *ჰასტინგსი*, 3 იანვარი. ტრადიციული საჭადრაკო ტურნირის VI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — დიდოსტატები ლ. შტეინი (სსრ კავშირი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). მეტოქენი უკვე მე-14 სვლაზე დაზავდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა პარტია ე. უიტლეი (ინგლისი) — ფ. კორშუ (რუმინეთი). ა. სუეტინმა გადადო პარტია ინგლისელ უ. ჰარსტონთან. ჰორტსა და გეორგიუს 4-4 ქულა აქვთ, შტეინს — 3,5, სუეტინს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია.

◆ **ოსლო**, 3 იანვარი. 1967 წლის სეზონის საუკეთესო სპორტსმენად ნორვეგიაში დასახელებულია მსოფლიოს უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურე“ ბ. ვირკოლა. II ადგილზეა მოთხილამურე უ. ელეფსეტერი, რომელმაც გაიმარჯვა ლაპტსა და ჰოლმენკოლენში გამართულ 50-კილომეტრიან რბოლებში. სწორედ ამ ორ სპორტსმენს უკავშირებენ ნორვეგიელები თავიანთ „ოქრის იმედებს“ გრენობლის X ოლიმპიურ თამაშებში.

◆ **კელსინკი**, 3 იანვარი. ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა I ჩემპიონატში პოლონეთის ნაკრებმა მოუგო თამაში გდრ-ის გუნდს — 7 : 2.

ᲥᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲯᲘᲚᲘ

● *მოსკოვი*, 2 იანვარი. ახალი წლის წინ ლენინის მთაზე ჩვენს ქვეყანაში პირველად გათამაშდა სსრ კავშირის თასი მარხილებით დაშვებაში. ტურნირში 26 ქალაქის 37 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვება და გარდამავალი პრიზი ლენინგრადელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. ამით სსრ კავშირში დასაბამი მიეცა სპორტის კიდევ ერთ სახეობას, რომლის განვითარებისთვის სათანადო ღონისძიებაც დაისახა — აიგება მარხილებით დასაშვები ტრასები ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. სამარხილო სპორტის საკავშირო ფედერაციამ გადაწყვეტა გაისიდან საერთაშორისო შეხვედრებიც გამართოს.

● **ხოვორსი** (შვეცია), 2 იანვარი. **შვეციის ტრასებზე საბჭოთა სპორტსმენებმა ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს. აქ გამართული 20-კილომეტრიანი სათხილამურო რბოლა ომსკელმა ვ. დოლგანოვმა (1 : 16.46), ხოლო 6 კილომეტრზე ქალთა რბოლაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ნ. შაბალინამ (28.55). II ადგილზე გასული შვედი ანდერსონი შაბალინას 1 წუთითა და 12 წამით ჩამორჩა.**

● **ბერლინი**, 2 **იანვარი**. აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაუთა საერთაშორისო ტურნირი მეგობრობის თასზე. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლაიპციგის „ფორვერტსი“ და კაუნასის „ჟალგირისი“, გაიმარჯვეს გერმანელებმა — 52 : 45.

● *დასავლეთ ბერლინი*, 2 იანვარი. სსრ კავშირის სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა აქ გამართულ ტრადიციულ საახალწლო საერთაშორისო ტურნირში. დებიუტანტებმა კარგად იასპარეზეს: მათ წაუგებლად დააგროვეს 5 ქულა და მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების უარესი ბალანსის გამო დაუთმეს პირველობა რუმინელებს. საბჭოთა სტუდენტებმა დაამარცხეს დასავლეთ ბერლინის ნაკრები (8 : 7) და გეტებორგის გუნდი (11 : 7). რუმინელებთან გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა ხელბურთელები დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ თავი იჩინა უკმარმა გამოცდილებამ საერთაშორისო შეხვედრებში და მატჩი დამთავრდა ფრედ — 8 : 8. აჯური ტურნირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ 4 იანვარს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტარტი მიეცემა სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო პირველობას. საბჭოთა ნაკრებში 6 ქალაქის — მოსკოვის, კიევის, რიგის, მინსკის, თბილისისა და კრასნოდარის წარმომადგენლები შედიან.

● **გრონინგენი**, 2 **იანვარი**. აქ გრძელდება ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებას ლიდერობს უნგრელი იახა — 4,5. II-VI ადგილებს სხვებთან ერთად იყოფს 16 წლის ტულელი კარპოვი.

საბჭოთა ფეხბურთელები—უძლიერესნი ჩვენს კონტინენტზე

მე-4 გვ.

თასი —სტუდენტებს

როგორც ვიტყობინებოდით, ბაკურიანში გაიმართა თბილისის სპორტკავშირის თასის გათამაშება სათხილამურო სპორტში დედაქალაქის ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. საერთო გუნდურ ჩათვლაში პრიზი დაისაკუთრეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, III — სპორტკლუბ „გამარჯვების“ მოთხილამურეები.

ოლიმპიური წელი რომ დაიწყო...

სპორტული მიმოხილვა

მაშინ, როცა უმრავლესობა ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან ერთად სადღესასწაულო ნაძვის ხესთან ხვდებოდა ახალ წელს, სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები მოსკოვიდან 12.300 კილომეტრით დაცილებულ ამერიკის პატარა ქალაქ კოლორადო-სპრინგსში ბრაუნის მემორიალის დასკვნით მატჩს თამაშობდა. ახალ წელს შინ ვერც მოიგეგურავეები, მოთხილამურეები, ტრამპლინიდან მხტომელები შეხვდნენ. წლევანდელი ზამთარი ხომ განსაკუთრებულია — ოლიმპიური და იგი ერთი დღით დასვენების უფლებასაც არ აძლევს სპორტსმენებს. მოუგეს რა ანგარიშით 11 : 3 აშშ-ს ოლიმპიურ გუნდს, საბჭოთა ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს ტრადიციულ ტურნირში, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონებს ღირსეული მეტოქეები არ ჰყავდათ. შედარებით რთული გამოცდა ელით ჩვენს სახელმოხვეჭილ ჰოკეისტებს კანადის ქალაქ ვინიპეგში, სადაც მათ საბჭოთა სპორტის ღირსება უნდა დაიცვან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან — შვეიცელებთან და ჰოკეის სამშობლოს, კანადის ნაკრებ გუნდთან ასპარეზობაში. ჯერჯერობით სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ა. ტარასოვი კმაყოფილია თავისი აღზრდილებისა.

კანადაში ტურნე დაამთავრა სსრ კავშირის II ნაკრებმა. 10 თამაშიდან ჩვენებმა 7 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს, ხოლო 2 წააგეს.

ახალი წლის წინ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს შვეიცარიის მაღალმთიან კურორტ დავოსში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ აი, ახალი წლის სწორედ პირველ დღეს სსრ კავშირის ჭაბუკთა გუნდმა დაგვწყვიტა გული: მან ევროპის იუნიორთა I ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩი წააგო ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებთან — 3 : 4.

როგორც ყოველთვის, „მფრინავი მოთხილამურეები“ სტარტს ძველ წელიწადს იღებენ, ხოლო ასპარეზობას ახალ წელს ამთავრებენ. საბჭოთა მხტომელები 4 ტრამპლინის ტრადიციულ ტურნეში მონაწილეობენ. დასავლეთგერმანულ ქალაქებში — ობერსდორფსა და გარმიშ-პარტენკირჰენში ჩვენებიდან ვერც ერთი ვერ მოხვდა ათეულში. შეიძლება ავსტრიელი ტრამპლინები უფრო ბედნიერი გამოდგეს.

სამაგიეროდ, გაგვახარეს ჩვენმა მრბოლელებმა, რომლებმაც 1 იანვარს რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს შვეიცის სათხილამურო ბილიკებზე. ესტერსუნდის მიდამოებში 24 წლის ვ. ვორონკოვმა (ჩუვაშეთი) 11-კილომეტრიან დისტანციაზე ბაუსწრო შვეიცის, ნორვეგიისა და იტალიის თითქმის ყველა უძლიერეს სპორტსმენს. მისი შედეგია 35.27. ქალებში ბადალი არ ჰყავდა მოსკოველ რ. აჩკინას, რომელმაც 5-კილომეტრიანი ტრასა ყველაზე სწრაფად გაირბინა — 20.14. II ადგილზეა სვერდლოვსკელი გ. კულაკოვა — 20.35.

ციგურაობის ვარსკვლავები ტრადიციისამებრ ოსლოს „ბიმლეტის“ ყინულის სარბიელზე გამოვიდნენ. 1 იანვარს მათ აქ განსაცვიფრებელი შედეგები აჩვენეს. ახალგაზრდა ნორვეგიელმა ი. ლინდმა 500-მეტრიან დისტანციაზე გაიმეორა თავისი ქვეყნის ოფიციალური რეკორდი — 40,7. მან 0,2 წამით აჯობა მსოფლიო რეკორდის თანაავტორს, 23 წლის ე. კელერს (გფრ). 22 წლის ჰოლანდიელმა ჰ. ნოტტემ 5 კილომეტრი 7 წუთსა და 35,2 წამში დაფარა. ეს შედეგი მსოფლიოში საუკეთესოა ამ სეზონში. საბჭოთა მოციგურავეები ამჯერად ოსლოს არ გამზავრებულან. ისინი ახალ წელს შეხვდნენ ალმა-ათაში, სადაც 72 უძლიერესი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს სსრ კაშირის პირად პირველობას.

სპორტი მიმოხილვა

მეტი ყურადღება რეზერვს!

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა უძლიერესი ათეულების სია. რედაქციამ სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ვ. კოლეგორსკის სთხოვა დაეწერა წერილი საქართველოს ჩოგბურთელთა მიერ 1967 წლის სეზონში მიღწეულ შედეგებზე და ამ მხრივ გაეკეთებინა კომენტარი ახალი საკლასიფიკაციო სიებისთვის. კოლეგორსკიმ თხოვნა შეგვისრულა. ვბეჭდავთ მის წერილს:

დიდი ხანი არაა, რაც სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო სიები 1967 წლის სეზონში მიღწეული შედეგების მიხედვით. სიებში შევიდა 175 ვაჟი, 130 ქალი, 150 ჭაბუკი და 120 გოგონა. გთავაზობთ უძლიერესთა ათეულებს. ფრჩხილებში ნაჩვენებია ადგილი, რომელიც ჩოგბურთელს 1966 წლის სეზონის შედეგების მიხედვით ეჭირა. მითითებულია, აგრეთვე, სპორტსმენის დაბადების წელი და საცხოვრებელი ქალაქი.

ვაჟები

1. ა. მეტრეველი. თბილისი. 1944 (1)
2. ვ. ეგოროვი. მოსკოვი. 1938 (2)
3. თ. ლეიუსი. ტალინი. 1941 (3)
4-7. ა. ივანოვი. ლენინგრადი. 1945 (6)
4-7. თ. კაკულია. თბილისი. 1947 (10)
4-7. ვ. კოროტკოვი. მოსკოვი. 1948 (9)
4-7. ს. ლიხაჩოვი. ბაქო. 1940 (5)
8. რ. სიგახინი. კიევი. 1938 (4)
9. ვ. მოზერი. კიევი. 1935 (12)
10. ვ. ლამპი. ტალინი. 1944 (13)

ქალები

1. გ. ბაკშეევა. კიევი. 1945 (1)
2. ა. დმიტრიევა. მოსკოვი. 1940 (5)
3. ო. მოროზოვა. მოსკოვი. 1949 (8)
4. რ. აბაანდაძე. თბილისი. 1940 (4)
5. ა. ივანოვა. თბილისი. 1946 (3)
6. ტ. კოვი. ტალინი. 1943 (7)
7. ტ. სიმპსონი. ტალინი. 1944 (9)
8. რ. ისლანოვა. მოსკოვი. 1948 (13)
9. ვ. ტიტოვა. კიევი. 1934 (14)
10. ა. ერემეევა. ლენინგრადი. 1948 (48).

საუკეთესოთა ათეულებში ვერ გავიდნენ მ. კული (1966 წელს იგი მეორე იყო საკლასიფიკაციო სიაში), ი. ერმოლოვა (6), ტ. ჩალკო (10), ა. ბეკეტოვი (8) და ი. პარმასი (7). ათეულებს დაუბრუნდნენ ტიტოვა და მოზერი, ხოლო საუკეთესოთა რიცხვში პირველად მოხვდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენები ისლანოვა და ერემეევა, საკმაოდ გამოცდილი ჩოგბურთელი ლამპი.

საქართველოს ოსტატებს 1966 წელსაც საპატიო ადგილი ეჭირათ საბჭოთა ჩოგბურთის ავანგარდში. 1967 წელს მათ II გუნდური ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი დიდი შესაძლებლობა.

გადავხედოთ 1967 წლის საკლასიფიკაციო სიებს: ქართული ჩოგბურთის ლიდერებმა არა მარტო მოპოვებული წარმატების შენარჩუნება შეძლეს, არამედ ერთგვარად განმტკიცეს კიდეც პოზიციები. უპირველესად ეს ითქმის უძლიერესთა ათეულში კაკულიას დაწინაურების გამო.

საკლასიფიკაციო სიები იმასაც გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ჩოგბურთელთა აღმზრდელებს გულდამშვიდების საფუძველი არა აქვთ. აბაანდაძეს და ივანოვას კარგი ცვლა ჰყავთ. ესენი არიან ნ. თუხარელი ახალი კლასიფიკაციით (მე-14), ლ. მგალობლიშვილი (35), ო. პაპაიანი (54), ტ. ფარსადანოვა (64); მეტრეველისა და კაკულიას შემცველად კი მხოლოდ ერთი შედარებით ახალგაზრდა ჩოგბურთელი შეგვიძლია მივიჩნიოთ — ვ. პერეგუდოვი (33).

საქართველოს ჩოგბურთს რომ საიმედო ცვლა არა ჰყავს, ამის სიგნალს მოზარდებში ეძლიერესთა ქვემომყვანილი ათეულებიც იძლევა (ეს სიაც 1967 წლის სეზონის შედეგების მიხედვით არის შედგენილი). ფრჩხილებში ნაჩვენებია ადგილები, რომლებიც მოზარდებმა უფროსების კლასიფიკაციით დაიკავეს.

ჭაბუკები

1. ვ. რუბანოვი. მოსკოვი. 1949 (45)
2. მ. დიბცევი. სოჭი. 1949 (52)
3. ვ. შეინი. კიევი. 1949 (53)
4. მ. ზელიოვი. მინსკი. 1949 (61)
5. ვ. მოროზოვი. მოსკოვი. 1950 (79)
6. ლ. აინენი. ტალინი. 1949 (94)
7. ე. ნაუმოვი. კალინინგრადი. 1949 (95)
8. ვ. ბელ- ბრატინი. კალინინგრადი. 1949 (96)
9. ვ. კაზაკევიჩი. მინსკი. 1951 (97)
10. ხ. პავლოვსკი. ლენინგრადი. 1949 (98)

გოგონები

1. ო. მოროზოვა. მოსკოვი. 1949 (3)
2. ე. იზოპაიტისი. მოსკოვი. 1950 (11)
3. ზ. იანსონე. რიგა. 1951 (28)
4. ა. კრეე. ტალინი. 1949 (30)
5. ე. კრიუჩკოვა. მოსკოვი. 1949 (31)
6. ლ. კარპოვა. ალმა-ათა. 1950 (34)
7. ლ. პეტროვა. კიევი. 1950 (43)
8. ა. ივანოვა. სოჭი. 1949 (44)
9. ა. ბლაგირევა. კიევი. 1949 (49)
10. ო. პაპაიანი. თბილისი. 1950 (54)

როგორც ხედავთ, აქ საუკეთესოთა ათეულებში საქართველოდან მხოლოდ პაპაიანი მოხვდა (ისიც მე-10 ნომრად). ჭაბუკების საკლასიფიკაციო სიაში თბილისელ ვ. აბაშენს მხოლოდ 24-ე ადგილი უჭირავს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რეზერვის მომზადების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ სსრ კავშირშიც.

დაბოლოს, მინდა გახაროთ, რომ ა. მეტრეველი, რომელმაც 1967 წელს ევროპის, აზიისა და ამერიკის ბევრი განთქმული ჩოგბურთელი დაამარცხა, კვლავ შევიდა ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში.

ახალი წელი ბევრ საინტერესო ასპარეზობას გვპირდება, სპორტული საზოგადოებრიობა კი მეტრეველისა და მისი თანაგუნდელებისგან ახალ-ახალ წარმატებებს ელის.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩოგბურთის ლიდერები ა. მეტრეველი (მარცხნივ) და ს. ლიხაჩოვი ვარჯიშის წინ.

ფოტო ი. იუნაევისა.

მოგილოცავთ!

ჩანახატი

თოვლმა დაფარა კავკასიონის საჯიხვეები. შოვის ფიბვებმა თოვლის თეთრი ქულაჯები მოისხეს მბრებზე. შიშველ ტყეს ქარი შეეჩვია და ხმიანად გუგუნებენ მუხები.

მთის კალთებზე შეფენილ სოფელს კვამლის ლეგა საბურველი ახურავს. ახალი წელია. ქვევრი სავსეა ღვინით, ბეღელი — ჭირნახულით. ტკბილად გუგუნებს ბუხარი. იბრაწება ვარია და ხაჭაპურის სურნელი მადას უღვიძებს კაცს... ჯადოსნურ სარკეში საახალწლოდ მორთული ნაძვის ხე ჩანს. სადღაც საქორწილო სუფრას შლიან.

წავიდა ძველი, ათასი სიხარულის მომტანი წელი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წელი, მდიდარი, ხხივოსანი და დიდებული. მოდის ახალი სიხარულის მომტანი წელი, ახალი — გამარჯვების წყურვილი. ვის ახალი კაშხალი იწვევს, ვის — ჯერ კიდევ დაუპყრობი მწვერვალი, ვისთვის ეს ოცნება სარბენ ბილიკებზე ჭიდილია, ვის გულს ფაფარაყრილი ცხენის ჭიხვინი უხმობს... ფრთები, ფრთები! თეთრად ფრიალებენ თოვლის ხვავრიელი ფანტელები.

ღუღუნებს სოფლის წყარო, ტკბილ ზღაპარს ჰყვება მზეჭაბუკზე. სადღაც ახლოს თოფის ქუხილი ისმის და თვალებს იფშვნეტს გათოშილი მიწა. სავსე ხურჯინით კარიდან კარზე დადის მესტვირე და ილოცება:

— გაგითენდეთ ბედნიერი ახალი წელი! მშვიდობის, სიმდიდრის, სიხარულის ახალ წელს გილოცავთ ყველას.

დ. ხახიაშვილი.

ონი.

მოინდომებამ ასე იცის

ქედის რაიონის მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი რ. ბერიძე, ფიზიკოსრდის მასწავლებელი ა. ბერიძე) დიდი ყურადღებით ეკიდებიან ფიზკულტურულ მუშაობას. ამას სკოლის დარბაზში გამოფენილი დიპლომები და გარდამავალ თასებიც ცხადყოფს. ინტერნატს აქვს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები...

აქ განსაკუთრებით უყვართ კალათბურთი. სკოლა-ინტერნატის გოგონათა გუნდი 1959 წლიდან დღემდე II ადგილის უცვლელი მფლობელია აჭარის მოსწავლეებში, 1962 წელს კი მან ჯერ აჭარის, შემდეგ კი II ჯგუფის გუნდებს შორის საქართველოს პირველობა მოიპოვა. მახუნცეთელებმა იმ წელიწადს პიონერ გოგონათა საკავშირო შეჯიბრებაშიც მიიღეს მონაწილეობა და ბრინჯაოს მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ ვორონეჟიდან.

შარშანწინ მახუნცეთელმა კალათბურთელმა გოგონებმა I ადგილი დაიკავეს აჭარის სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა შეჯიბრებაში და გავიდნენ საქართველოს პირველობის ფინალში, რომელიც წულუკიძეში ჩატარდა. მათ აქაც კარგად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და რესპუბლიკის II ჯგუფის გუნდებს შორის გარდამავალი ჯილდო — ბროლის თასი დაისაკუთრეს.

ახლა ნორჩი სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან სკოლა-ინტერნატების მომავალი სპარტაკიადისთვის, რომელიც იანვარ-მარტში გაიმართება.

ნ. ბასილაძე.

ქედის რაიონი.

მეგობრის საზეიმოების თასზე

27 დეკემბერს თბილისში, „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში, მოეწყო მალხაზ ადეიშვილის სახელობის თასის გათამაშება ესპადრონით ფარიკაობაში. მონაწილეობდნენ: მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. რაკიტა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი, საერთაშორისო კლასის ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ფ. ნაზლიმოვი, უკრაინის ჩემპიონი ვ. არდერიხინი, სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე მ. სახვაძე და სხვ.

შეჯიბრება განსაკუთრებით დაძაბული იყო. ეს გასაგებიცაა, — მეგობრის სახელობის თასის მოპოვება ყოველ სპორტსმენს სურდა.

ფინალში 8 მოფარიკავე გავიდა. მათგან წაუგებლად მხოლოდ მ. რაკიტა და ნ. ასათიანი ასპარეზობდნენ. ყველას ეგონა, რომ გამარჯვების ბედს მათი შეხვედრა გადაწყვეტდა, მაგრამ რაკიტა დამარცხდა ა. გოგელიასთან (2:5), ასათიანმა კი წააგო გ. ლორთქიფანიძესთან. ახლა ლიდერთა ჯგუფს მ. სახვაძეც შეუერთდა.

საინტერესო გამოდგა მ. სახვაძისა და ნ. ასათიანის ბრძოლა. ნუგზარის ყოველი ეერიში მიზანს აღწევდა და ანგარიშიც მის სასარგებლოდ იზრდებოდა — 3:1. მაგრამ მორისმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა და ასათიანის ელვისებურ შეტევებს ხან ფარვით, ხან კი კონტრშეტევით უშასპინძლდებოდა. ანგარიში გათანაბრდა. ამის შემდეგ ნუგზარი თითქოს მოეშვა და შეეგუა დამარცხებას. გაიმარჯვა სახვაძემ — 5:3.

სახვაძემ ასევე კარგად წარმართა დანარჩენი შეხვედრებიც. დამარცხა ლორთქიფანიძე (5:2), გოგელია (5:1), ნაზლიმოვი (5:3) და დამსახურებულად მოიპოვა თასი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.



„ლელოს“ ჭაბუკების-ჯუნიორების

„დავაჩქაროთ მშენებლობა“

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი შ. ბასილაშვილი გვატყობინებს, რომ „ლელოს“ 1967 წლის 31 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა „ვაზისუბნის კოლმეურნეობის სპორტული ბაზის მშენებლობის მიმდინარეობის“ საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი წერილში მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ვაზისუბნის სპორტული ბაზის მოსაწყობად უკვე დაიწყო მუშაობა.

დინამოელ სპორტის ოსტატს, თბილისელ ვ. ანიკინას ბევრჯერ წარმატებით დაუცავს აღმზრდელი საზოგადოებისა და რესპუბლიკის ღირსება. იგი შარშანაც კარგად გამოვიდა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, შემდეგ კი საკავშირო ტურნირში სცადა ძალა. ანიკინას ერთნაირად ეშარჯვება ცურვის ყველა ყაიდა. შარშან მან საქართველოს რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

სურათზე: ვ. ანიკინა ბატერფლაით ცურვის დროს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

რაკეტინი ეკრანიდან

ოჩამჩირე

ადგილობრივმა სპორტსკოლამ მოაწყო შეჯიბრება ფეხბურთში, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების გუნდები. წარმატება წილად ხვდათ მე-2 სკოლის წარმომადგენლებს.

რ. ბედია.

ანდრეიკოს ინიციატივით

თბილისელებს ალბათ ახსოვთ ი. კუპერმანისა და ვ. შოგოლევის მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ამ ორი წლის წინ თქვენს ქალაქში ჩატარდა. საბჭოთა მოშაშეები მუდამ სიხარულით შეხვდებოდნენ ცნობას, რომ მსოფლიო პირველობა ტარდება საქართველოში, სადაც ეს უძველესი თამაში სულ უფრო მეტ მოყვარულს იძენს.

მაგრამ ეს მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენებზე როდია დამოკიდებული. ამ ზაფხულს იტალიაში მოეწყობა VI დიდი ოლიმპიური ტურნირი, რომელიც მსოფლიოს ახალ ჩემპიონს დასახელებს. ტურნირში ითამაშებს ჰოლანდიის მოშაშეთა იმედი, ევროპის თასის შარშანდელი მფლობელი, 18 წლის დიდოსტატი ტ. სეიბრანდსი. საერთაშორისო სარბიელზე ჯერ თავისი უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს გამოჩენილ აფრიკელ დიდოსტატს, ზანგ ბაბა სის. დიდი პრეტენზიები აქვთ საფრანგეთის, კანადის, ბელგიის, შვეიცარიის, ჰაიტის და სხვა ქვეყნების ჩემპიონებს.

დიახ, კუპერმანისა და შოგოლევისთვის ამ ტურნირში თამაში იოლი არ იქნება.

თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. ახლა კი თბილისში სტარტი აიღო კუპერმან — ანდრეიკოს მატჩმა მსოფლიო პირველობაზე, რომელშიც ერთმანეთს საბჭოთა საშაშო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები ხვდებიან. ამ ორი მოშაშის შემოქმედება დიდად განსხვავებულია.

ვინ გაიმარჯვებს? სპორტში პროგნოზები სასიფათოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთმანეთს თანაბარი ძალის ოსტატები ხვდებიან. მიუხედავად ამისა, სეიბრანდსი მტკიცედ აცხადებს: ანდრეიკო გაიმარჯვებს! შოგოლევი, რომელმაც ორჯერ გამოსცადა მსოფლიო ჩემპიონის ძალა, კუპერმანს ასახელებს, მაგრამ გამარჯვებას ბევრი რამ განაპირობებს.

I პარტიაში კუპერმანს (თეთრებით) პრეტენდენტის მძაფრი იერიშის მოგერიება. მოუხდა. მან მარსელელი მუშის, ცნობილი ფრანგი ოსტატის რაფაელის დებიუტი აირჩია, მაგრამ დაცვაზე გადასვლა მაინც დასჭირდა. შემდეგ კუპერმანმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ უსწორო გეგმის გამო ისევ წაეწყდა სიძნელეებს.

ენდშპილში იგი ზუსტად თამაშობდა და 73-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

II პარტიაში ანდრეიკომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ფაბრის დებიუტს მიმართა. კუპერმანმა თამაშის სწორი გეგმა ვერ მონახა და იძულებული შეიქნა დაცვა გამოეყენებინა.

36-ე სვლაზე მდგომარეობა გათანაბრდა, მაგრამ აქ კუპერმანმა უსწოროდ ითამაშა.

ანდრეიკო (თეთრები): 26, 27, 31/36, 38, 39, 43 (11);

კუპერმანი (შავები): 6, 11/14, 16, 18, 19, 22, 23, 24 (11).

თამაში ასე გაგრძელდა: 36. ... 14-20? 37. 32-28? და 53-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. შავებს 36. ...11-17 უნდა ეთამაშათ, ხოლო მათი შეცდომის შემდეგ ანდრეიკო ასე იგებდა: 37. 34-29! 23:34 38. 39:30 20-25 39. 32-28 25:34 40. 28:8 13:2 41. 26-21 2-7 42. 33-28 7-12 43. 28-22! და შავებს ცუგცვანგი აქვთ: 43. ...11-17 44. 22:13 17:37 45. 13-9 და თეთრები გარღვევით წარმატებას აღწევენ.

დიდოსტატი ვ. გოროდეცკი,
სსრ კავშირის შაშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

* * *

სურათზე: კუპერმანი (მარცხნივ) და ანდრეიკო თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



კარგად დაგეგეგმოთ!

ი. კუპერმანი (კიევი),
მსოფლიო ჩემპიონი საერთაშორისო შაშში, დიდოსტატი.

სამი წლის წინათ თბილისში, მოსკოველ დიდოსტატ ვ. შოგოლევთან მატჩში მეოთხედ მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. როგორც ხედავთ, ლამაზ ქალაქში თამაში კარგად მაქვს დაცდილი.

არც ახალ წელს ვკარგავ თბილისელთა მხარდაჭერის იმედს.

ჩემი საახალწლო სურვილია: საქართველოსაც ჰყავდეს ძლიერი მოშაშეები, რომლებიც თქვენს კურთხეულ მიწასა და მის ნიჭიერ ერს ასახელებენ.

მართალია, თქვენში შაში ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ, ალბათ ამასაც თავისი მიზეზი აქვს: შაშის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მაგრამ ამ თამაშის საერთო წესები მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ათეული წელია შემოიღეს. მანამდე ყველა ხალხს თავისი დაფა და თამაშის წესები ჰქონდა. მინდა ვიფიქრო, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ხელს შეუწყობს საერთაშორისო შაშის გავრცელებას თქვენში.

დაბოლოს, წლევანდელი სპორტული სეზონი საქართველოში მოშაშეებმა გავხსენით. დაე, ეს მატჩი თქვენი სპორტსმენების დიდი გამარჯვებების მეკვლე იყოს!

მოშაშეებსაც შეეტანოთ!

ა. ანდრეიკო (რიგა),
მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, დიდოსტატი.

რა დასამალია: კუპერმანთან მატჩში ხელს მაძლევს მხოლოდ მოგება. თუ წავაგე, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ამ გამარჯვებისთვის ვემზადები წლების მანძილზე.

დიდი იმედი მაქვს ახალი წლისა და თბილისელების. პირველი მაგულიანებს, ხოლო თბილისელები მამხნევებენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, თბილისი „მოვალეა“ რიგისა: 1965 წელს ჩვენთან ნონა გაფრინდაშვილმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. რა მოხდება, რომ თბილისში მე შემამკონ ჩემპიონის დაფნის გვირგვინით?

თქვენში სხვა დროსაც ვყოფილვარ, თუმცა თბილისს პირველად ვესტუმრე. ორი წლის წინ სოხუმის საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დავიკავე.

საქართველო მდიდარი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა, თუმცა შაში თქვენში ჯერ კიდევ ახალი ხილია. საახალწლოდ გისურვებთ, რომ მოშაშეებსაც შეეტანოთ თავიანთი წვლილი ქართული სპორტის დიდებაში!

ფეხბურთი-68

წლეულს ვათამაშდება სსრ კავშირის XXX საფეხბურთო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. როგორც სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, „ა“ კლასის I ჯგუფში ითამაშებს 20 გუნდი. აი, მათი სია:

„დინამო“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მინსკი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „შახტიორი“ (დონეცკი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „არარატი“ (ერევანი), ცსკა, ასკ (როსტოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „კაირატი“ (ალმა-ათა), „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ზარია“ (ლუგანსკი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (ეროვანადი).

გუნდი, რომელიც გათამაშებაში დაიკავებს ბოლო, მე-20 ადგილს, გაისად გადავა „ა“ კლასის II ჯგუფში, ხოლო მის ადგილს 1969 წელს დაიკავებს „ა“ კლასის II ჯგუფში გამარჯვებული გუნდი. გათვალისწინებულია, აგრეთვე, რომ 1969 წელს „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდები, რომლებიც დაიკავებენ მე-19 და მე-20 ადგილებს, 1970 წლისთვის გადავლენ II ჯგუფში, ხოლო მათ სანაცვლოდ უმაღლეს ლიგაში გადმოვა „ა“ კლასის II ჯგუფში გამარჯვებული 1 გუნდი.

სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი დაიწყება 6 აპრილს და დამთავრდება 12 ნოემბერს, მაგრამ კიევის „დინამოს“, მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები, რომლებიც ითამაშებენ ევროპულ ტურნირებში, თავიანთ მატჩებს ჩაატარებენ 1 აპრილს.

„ა“ კლასის II ჯგუფის 80 გუნდი დაყოფილია 4 ქვეჯგუფად. ჩვენი ფეხბურთის მეორე ეშელონში წარმომადგენლობა ასეთია: 40 გუნდი რსფსრ-დან, 19—უკრაინიდან, 3-3—უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან და საქართველოდან, 2-2 — ბელორუსიიდან და ტაჯიკეთიდან. თითო გუნდი წარმოადგენს სომხეთს, აზერბაიჯანს, ლიტვას, ლატვიას, მოლდავეთს, ყირგიზეთს, თურქმენეთს და ესტონეთს. აქ გათამაშება გასტანს 7 აპრილიდან 13 ნოემბრამდე.

საქართველოს გუნდები გაერთიანებული არიან „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფში:

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „ზვეზდა“ (პერმი), „რუბინი“ (ყაზანი), „სტროიტელი“ (უფა), „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი), „ვოლგა“ (გორკი), „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი), „თერგი“ (გროზნო), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ლოკომოტივი“ (თბილისი), „შეშახტე“ (ტყიბული), „შირაკი“ (ლენინაკანი), „დინამო“ (ბათუმი), „სპარტაკი“ (ოშკარ-ოლა), „დინამო“ (მახაჩყალა), „ვოლგარი“ (ასტრახანი), „ვოლგა“ (ულიანოვსკი), „ზენიტი“ (იჟევსკი), „ფოლადი“ (სუმგაითი), „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი).

ქვეჯგუფებში 4 გამარჯვებული გუნდი 17-26 ნოემბერს ნეიტრალურ მინდორზე გაითამაშებს ფინალურ ტურნირს და გამარჯვებულს უფლება მიენიჭება 1969 წელს ითამაშოს „ა“ კლასის I ჯგუფში.

აპრილის დასაწყისში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მატჩები. უმაღლესი ლიგის ყველა 20 გუნდი შეჯიბრებაში ჩაებმება მეთექვსმეტედფინალიდან. კენჭისყრა აქ უკვე მოხდა და არის პირველი სიურპრიზებიც: კენჭისყრამ უკვე პირველივე მატჩებში შეახვედრა ერთმანეთს „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდები კიევის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“, ცსკა და „ლოკომოტივი“, ლუგანსკის „ზარია“ და ქუთაისის „ტორპედო“. ტრადიციის მიხედვით, ფინალური მატჩი 8 ნოემბერს ჩატარდება მოსკოვში.

საკლუბო გუნდები სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებს ჩაატარებენ დამოუკიდებლად იმისა, მათი მოწინააღმდეგეები მოხვდებიან თუ არა სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც ახალ სეზონში გამოსვლა მოუწევს ოლიმპიური ტურნირის შესარჩევ მატჩებში, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, აგრეთვე, ამხანაგურ შეხვედრებში ინგლისის, შოტლანდიის, ავსტრიის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებთან.

ასეთია ზოგადად 1968 წლის კალენდარი ფეხბურთისა, რომელიც ჩვენში თავისი არსებობის 70 წელს აღნიშნავს.

კალუგის საგზურებისთვის

როგორც ცნობილია, 3 იანვარს კალუგაში დაიწყო გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებები ჭადრაკში. ამ ტურნირებში თამაშის უფლებას მოჭადრაკეები თბილისის შესარჩევ შეჯიბრებაში ეცილებოდნენ ერთმანეთს.

ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 8 მოჭადრაკე თამაშობდა, გაიმარჯვა რ. შარაშენიძემ (მე-15 სკოლა) — 5 ქულა. მან 4 პარტია მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა და წაგო ვ. ვეფხიშვილთან (მე-4 სკოლა). ამ უკანასკნელმა II-III ადგილები გაიყო გ. სიხარულიძესთან (ორივე — მე-4 სკოლა) — 4,5-4,5.

შემდეგ ადგილებზე არიან: IV. ა. ხარიტონაშვილი (29-ე სკოლა) — 4, V. მ. აივაზიშვილი (27-ე სკოლა) — 3, VI-VII. გ. იასაშვილი (112-ე სკოლა), ზ. რუხაძე (მე-4 სკოლა) — 2,5-2,5, VIII. თ. გრძელიშვილი (მე-16 სკოლა) — 2.

გოგონები კალუგის ორი საგზურისთვის იბრძოდნენ.

უძლიერესი აღმოჩნდა მ. სანაძე (61-ე სკოლა) — 4,5. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ნ. ბაღაშვილი (მე-15 სკოლა), რომელმაც, სხვათა შორის, მოუგო სანაძეს.

მომდევნო ადგილებზე არიან: III-IV. დ. გელიაშვილი (მე-4 სკოლა), დ. გამყრელიძე (ქუთაისის მე-13 სკოლა) — 3,5-3,5, V-VI. მ. დათაშვილი (მე-15 სკოლა), თ. კაჭარავა (22-ე სკოლა) — 2,5-2,5, VII. დ. ქობალია (23-ე სკოლა) — 0,5.

კალუგას გაემგზავრნენ ს. ჩიჩელიანი, ვ. მეჩიტოვი, რ. შარაშენიძე, ნ. ხუბულური, მ. სანაძე და ნ. ბაღაშვილი. მათ გაჰყვნენ მწვრთნელები — ოსტატი ა. ბუსლაევი და ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი.

სალაპარაკო სწორედ მათ აქვთ! ისე, როგორც 1965 წელს, როცა ეს ფოტოსურათი გადაიღო მ. ზარგარიანმა, დღესაც მსოფლიო ჩემპიონებს ტ. პეტროსიანსა და ნ. გაფრინდაშვილს ერთმანეთისთვის ბევრი აქვთ სათქმელი. წლეულს ნონამ ა. კუშნირთან მატჩში მეორედ უნდა დაიცვას ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი, ხოლო ტიგრანმა უნდა შეიტყოს ვის შეხვდება იგი გაისად: ტალს თუ ლარსენს, სპასკის თუ გელერს, გლიგორიჩსა თუ კორჩნოის...

გაფრინდაშვილი — ლიდერებში

გეტებორგი, 2 იანვარი. აქ გრძელდება მოჭადრაკე ვაუთა საახალწლო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილიც მონაწილეობს.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ გელერი (სსრ კავშირი) და მარტენსი (შვეიცია) — 4,5-4,5. მოჭადრაკე ქალი ლიდერებს კვალში მიჰყვება: მას 4 ქულა აქვს.

ყოველი მზრიდან

უცნაური განცხადება

მსოფლიოს სპორტულ პრესაში კვლავ ბევრი იწერება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის განცხადებაზე, რომ 30 იანვარს გრენობლში, საერთაშორისო კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე განიხილება ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის საკითხი. კარგადაა ცნობილი, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის დროზე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო მსოფლიო საზოგადოებრიობის გავლენით: რასისტებს უარი ეთქვათ თამაშებში მონაწილეობაზე. რაღა იყო ამ გადაწყვეტილებაში გადასასინჯი?

არაფერი. რასიზმი უწინდებურად მძვინვარებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში. ჯერ არ ყოფილა, რომ ამ ქვეყნის შავკანიან და თეთრკანიან სპორტსმენებს ერთნაირი უფლებები ჰქონოდეთ რომელიმე შეჯიბრებაში.

და მაინც, ბრენდეჯმა განაცხადა, რომ გრენობლში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები მოისმენენ სამი კაცისგან შემდგარი საგანგებო კომისიის მოხსენებას. ეს კომისია „გაეცნო სამხრეთაფრიკული სპორტის მდგომარეობას“ 1967 წლის შემოდგომისათვის. პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ კომისიამ უკვე მოამზადა „გამოკვლევათა“ რამდენიმე ტომი, რომელთა შინაარსი ჯერჯერობით უცნობია.

თუმცა სამხრეთაფრიკული პრესა უკვე იუწყებოდა, რომ რასისტებმა გადაწყვიტეს ოლიმპიურ თამაშებზე შერეული გუნდი გაგზავნონ. შავკანიან სპორტსმენებს ნებას დართავენ, რომ თამაშების გახსნის ცერემონიალში მიიღონ მონაწილეობა და ქვეყნის ეროვნული დროშით შემოუარონ სტადიონს მაგრამ ზანგი ათლეტები მაინც ცალკე, მეორე ჯგუფში იქნებიან. ამას გარდა, მათ ნება არა აქვთ, რომ შეჯიბრებებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თეთრკანიან სპორტსმენებთან ერთად ჩაებან. რაღა სალაპარაკოა, რომ ამ ქვეყანაში კვლავინდებურად გრძელდება დისკრიმინაცია სპორტში. შავკანიანი სპორტსმენები საკვალიფიკაციო შესარჩევ შეჯიბრებებშიც კი ვერ გამოდიან თეთრკანიანებთან ერთად.

ყოველივე ამის გამო საკმაოდ უცნაურად ეღერს ბრენდეჯის განცხადება: „სამხრეთაფრიკული აპარტეიდი პოლიტიკის საქმეა და იგი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არ აღელვებს. ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ისაა, რომ ყველა რასის სპორტსმენები მშვიდობიანად ასპარეზობდნენ ოლიმპიადებში“.

მეტისმეტად ხომ არ ამარტივებს ბატონი პრეზიდენტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამოცანებს? განა კუბერტენის იდეალთა ხელყოფა, რასაც უთუოდ წარმოადგენს აპარტეიდი სპორტში, სწორედ საერთაშორისო კომიტეტის საქმე არ არის? მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა გადაჭრით ილაშქრებს რასისტებთან საქმონსობის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ისინი არ დაუშვან ოლიმპიურ თამაშებში.

თოვლსაც ზომა სჭირდება

გრენობლში პირველი თოვლი მოვიდა. თამაშების ორგანიზატორებს ჯერჯერობით სავსებით კმაყოფილი არიან. ეს, რა განცხადა ზამთრის X ოლიმპიური თამაშების პრესის განყოფილების შეფმა პოლ ბლანკმა ვენაში, გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„შეიძლება ითქვას, რომ თოვლის საქმე შამრუსში. სადაც მთავარი შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს, კარგად იქნება. პირველი თოვლ-ს შემდეგ საგანგებო ჯგუფებმა წესრიგზე მოიყვანეს ყველა ოლიმპიური ტრასა. მაგრამ ყველაფერს ზომა სჭირდება და იმედი გვაქვს, რომ ზედმეტი თოვლი ხელს არ შეგვაშლის“.

ბლანკმა თქვა, რომ ბობსლეის ტრასა უკვე მზადაა. 25 იანვრის შემდეგ იქ მხოლოდ ოლიმპიელები ივარჯიშებენ. იანვრის პირველ რიცხვებში ამ ტრასაზე ჩატარდება საფრანგეთის ჩემპიონატი წინასწარ მონაცემებით, ოლიმპიადის შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს 11 ქვეყნის — ავსტრიის, კანადის, გფრ-ის, იტალიის, შვეიცარიის, შვეიციის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, ესპანეთის, რუმინეთისა და საფრანგეთის 125 ბობსლეისტი.

როგორც ცნობილია, ფრანგ სპორტსმენებს უკვე მიაქვთ ოლიმპიური ცეცხლი გრენობლისკენ. ეს გიგანტური ესტაფეტა პირველმა დაიწყო სკვო-ველის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სწრაფდაშვებაში ჟან ვიუარნემ. მეორე იყო მელბურნის ოლიმპიადის ოქროს medალისანი, მარათონელი ალენ მიმუნი. ეს ტაფეტამ უკვე გაიარა 20 ფრანგული ქალაქი. სულ ოლიმპიური ჩირაღდანი საფრანგეთის 41 დეპარტამენტის 170 ქალაქს გაივლის.

ფრეზერი ცნობს მხოლოდ კლეის

ამერიკის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ტოკიოს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა ჯო ფრეზერმა დაამარცხა ამერიკელი მოკრივე მარიონ კონერი. მე-3 რაუნდის დასაწყისში მან ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე. ფრეზერისთვის ეს მეცხრამეტე ბრძოლა და მეცხრამეტე გამარჯვებაა პროფესიულ რინგზე. 17 შეხვედრა მან ნოკაუტით დაამთავრა.

ყველასთვის ნათელია: ამ წარმატებით ფრეზერმა დაამტკიცა, რომ პროფესიონალ მოკრივეთა შორის იგი ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელისა. როგორც ცნობილია, ეს სახელი ჩამოერთვა კასიუს კლეის, როცა მან მტკიცე უარი განაცხადა ვიეტნამში ბრძოლაზე. ფრეზერმა მაშინვე თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ მიაჩნია. მან გადაჭრით უარყო წინადადება, რომ მონაწილეობა მიეღო კრივის საერთაშორისო ასოციაციის მიერ საგანგებოდ მოწყობილ „პრეტენდენტთა ტურნირში“.

ახლა ფრეზერმა კვლავ განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ შევხვდები თანამედროვეობის ყველაზე ძლიერ მოკრივეს კასიუს კლეის, რომელიც მსოფლიოს ერთადერთი კანონიერი ჩემპიონია. კლეის კარიერას ვერაფერი გაწყვეტს. ვიმედოვნებ, რომ ამას ისინიც გაიგებენ, ვინც ახლა კლეის რინგზე გამოსვლას უშლის, ვინც ბოიკოტის კედელი შემოარტყა მას“.

მუჭარა

ინგლისელი „შეამბოხეები“, რომლებიც უიმბლდონის ტურნირში პროფესიონალთა დაშვებას მოითხოვენ, ირწმუნებიან: ასეთი რეფორმა მოყვარული სპორტსმენებისთვისაც სასარგებლოაო. საოცარი ის არი, რომ „დიდ ტურნირებისთვის“ ყველაზე ენერგიულად იბრძვის „პროფესიონალთა ხელმწიფე“, „ჩოგბურთის ცირკის“ მეპატრონე, ამერიკელი ჯეკ კრამერი.

კრამერმა კარგად იცის, რომ „შეამბოხეებისთვის“ განსაკუთრებით ძვირფასია ავსტრალიის მოყვარულ ჩოგბურთელთა ძლიერი კავშირის მხარდაჭერა და სწორედ აქეთ წარმართა თავისი იერიში. დაიწყო იმით, რომ კრამერმა ხიუ-იორკში შემდეგი შინაარსის ინტერვიუ მისცა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს:

„მე „დიდ ტურნირების“ მომხრე ვარ და ეს ტურნირები გაიმართება, მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომ ზოგიერთი მოყვარული თავის სტატუსს დაკარგავს. ამას ხელს ვერ შეშლის საწინააღმდეგო პოზიცია ისეთი დიდი საჩოგბურთო ქვეყნებისაც კი, როგორიც ავსტრალია და ამერიკა არიან. ყველამ ერთად ითამაშოს და ჩვენც ყველას პატიოსნად გადავუხდით ფულს“.

კრამერი განცხადებას როდი დასჯერდა. მან წერილი გაუგზავნა ავსტრალიის საჩოგბურთო კავშირის პრეზიდენტს ბილი ედვარდს. ამ წერილის ზოგიერთი ნაწყვეტი რაღაცნაირად გაზეთებშიც მოხვდა. კრამერი მოითხოვს, რომ ავსტრალიის კავშირმა მხარი დაუჭიროს „ღია ტურნირებს. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — წერს იგი, — ავსტრალია სამუდამოდ დაკარგავს ჰეგემონიას ჩოგბურთში“.

კრამერი ტრაბახობს კიდეც: პროფესიონალი ჩოგბურთელები უმოყვარულებოდაც იოლად გავლენ ფინსი. მაგრამ თუ ასეა, მაშ რაღად უნდა პროფესიული ცირკის გამგეებელს „ღია ტურნირები“?



კიდევ ერთი დაბრკოლება გადალახულია. ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.

ფეხბურთი

„არგენტინელ ცაიტუნგის“ აზრითაც ● 72 ქვეყანამ ● 1200 პროფესიონალი

ევროპის ფეხბურთის გუნდების კლასიფიკაციაში, რომელიც შედგა ავსტრიული გაზეთის „არბაიტერ ცაიტუნგის“ გამოკითხვის შედეგად, სსრ კავშირის ნაკრები პირველ ადგილზეა ინგლისისა და იტალიის გუნდების წინ.

* * *

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მონაწილეთა რიცხვით საგრძნობლად გადააჭარბებს წინა, 1966 წლის პირველობას. 72 ქვეყანამ ოფიციალურად განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს IX მსოფლიო ჩემპიონატში.

* * *

ჰოლანდიის პროფესიონალი ფეხბურთელები გაერთიანდნენ თავიანთი ქვეყნის უდიდეს ტრედიუნიონში, რომელიც მათ ისეთივე დამოუკიდებლობას პირდება, როგორიც ინგლისელ პროფესიონალ ფეხბურთელებს აქვთ. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიაში ახლა ირიცხება 1200 პროფესიონალი ფეხბურთელი.

სსრ კავშირის ნაკრები — ევროპაში საუკეთესო



პარიზი, 3 იანვარი. პოპულარული ფრანგული ყოველკვირეულის „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციულ ანკეტაში — „1967 წლის ევროპის საუკეთესო გუნდები“ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. II-III ადგილები გაიყვეს იტალიისა და უნგრეთის გუნდებმა და მხოლოდ IV ადგილზე აღმოჩნდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — ინგლისელები.

„ფრანს-ფუტბოლის“ ჟურნალისტები კომენტარს უკეთებენ ამ სიას და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა გუნდისთვის პირველობის მინიჭებაში დიდი როლი შეასრულა მისმა დამაჯერებელმა გამარჯვებებმა ისეთ სერიოზულ მეტოქეებთან, როგორიცაა შოტლანდიის, საფრანგეთისა და ჩილის ეროვნული გუნდები, აგრეთვე, ლამაზმა ფრემ „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში. საბჭოთა ფეხბურთელების 1967 წლის ანგარიშზეა 12 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება. სიის შემდგენელებმა გაითვალისწინეს ევროპის ფეხბურთელთა მიერ ჩატარებული 118 კალენდარული და ამხანაგური მატჩი.

სულ „ფრანს-ფუტბოლის“ სიაში 28 ქვეყნის ნაკრები გუნდები შევიდნენ. ეს ის კოლექტივებია. ვინც სეზონში 4 საერთაშორისო მატჩი მაინც ითამაშა. სხვათა შორის გამოირკვა, რომ ოთხზე ცოტა შეხვედრა მხოლოდ ირლანდიის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ისლანდიის გუნდებს ჩაუტარებიათ.

ამრიგად, სია ასე გამოიყურება: 1. სსრ კავშირი, 2-3. იტალია და უნგრეთი, 4. ინგლისი, 5. ბულგარეთი, 6-7. გდრ და გფრ, 8. იუგოსლავია, 9. ჩეხოსლოვაკია, 10-11. ესპანეთი და პორტუგალია, 12. შოტლანდია, 13-14. საფრანგეთი და შვეიცარია, 15. დანია, 16. რუმინეთი, 17. ბელგია, 18. საბერძნეთი, 19-20. ჰოლანდია და პოლონეთი, 21-23. ავსტრია, ნორვეგია და შვეიცია, 24. თურქეთი, 25-26. ალბანეთი და ლუქსემბურგი, 27. ფინეთი, 28. კვიპროსი.

▲ **ოგერვიზენტალი.** გდრ-ის ოლიმპიური გუნდის დასაკომპლექტებლად გამართულ ტურნირში სპეციალური სლალომი მოიგო ე. რიდელმა.

▲ **სანკტ-მორიცი.** ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა ი. ტონჰაუზერმა (გდრ), რომელიც 80 და 81 მეტრზე გადახტა (213,9 ქულა). მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი დ. ნოიენდორფი (გდრ) II ადგილზეა — 208,2. მესამე გასლდათ ავსტრიელი კრუოლი.

▲ **ბრიუსელი.** საერთაშორისო მძლეოსნური კროსი (7 კმ) გ. რულანტსის გამარჯვებით დამთავრდა—19.36,0.

▲ **მონრეალი.** 1967 წლის სეზონის მიხედვით კანადის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მსოფლიოს თასის მფლობელი, სამთომოთხილამურე ნ. გრინი.

▲ **გოტვალდოვი.** მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კრუპკამ 100 მეტრი ბრასით 1 წუთსა და 10,9 წამში, ხოლო სლავიჩკოვამ 200 მეტრი ამავე სტილით 2 წუთსა და 47,4 წამში გაცურა. ორივე ეს საერთაშორისო კლასის შედეგი და ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდია.

ჩოგბურთის ამბები

მოყვარულთა დიდი ზარალი

როგორც ბელგრადში გამოცხადდა, ცნობილი იუგოსლავიელი ჩოგბურთელები პილიჩი და ოვანოვიჩი ამიერიდან პროფესიონალები იქნებიან. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ავსტრალიელებმა ნიუკომბმა, როჩმა, მილიგანმა, ინგლისელმა ტეილორმა და იტალიელმა პიეტრანჯელიმ.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთბაშად ასეთი ზარალი სამოყვარულო ჩოგბურთს არ ახსოვს. ყველა ეს „გუშინდელი“ მოყვარული ორ პროფესიულ დასში გაერთიანდება და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურებს.

ნიუკომბი და კინგი

გფრ-ის სააგენტო სიდმა მოაწყო გამოკითხვა: 14 ქვეყნის 17 სპორტულ მომბმილველს უნდა დაესახელებინა სამყაროს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები 1967 წლის სეზონის მიხედვით.

აი, გამოკითხვის შედეგებიც:

ვაჟები: 1. ნიუკომბი (168 ქულა), 2. ემერსონი (155), 3. სანტანა (120), 4. როჩი (116), 5. მილიგანი (99), 6. პილიჩი (77), 7. ბუნგერტი (50), 8. ჰევიტი (47), 9. გრებნერი (29), 10. ლემლი (22).

ქალები: 1. კინგი (150), 2. ჯონსი (133), 3. დიური (121), 4. ტერნერი (103), 5. რიჩეი (81), 6. კაზალსი (66), 7. ბუენო (59), 8. მელვილი (40), 9. უეიდი (35), 10. ტეგარტი (17).



სურათზე: ბ. კინგი და ჯ. ნიუკომბი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ“

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, რადიოპროდიუსერმა ჭ. მაიამიდან (აშშ) მ. უორონერმა საანგარიშო-გამომთვლელი მანქანის საშუალებით მოაწყო „ყველა დროისა და ყველა ხალხის ჩემპიონატი“ კრივში. ამ თავისებურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა კრივის ყველაზე უდიდესი ვარსკვლავი.

ლეგენდარული მოკრივეების ფინალში გავიდნენ 1953-1956 წლების მსოფლიოს პროფესიონალთა ჩემპიონი მძიმე წონაში როკი მარჩიანო და 1919-1926 წლების მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ჯეკ დემპსი (ორივე — აშშ).

ფინალური „ბრძოლა“ დამთავრდა მარჩიანოს გამარჯვებით, რომელსაც გადაეცა 10.000 დოლარი და ბრილიანტის ქამარი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.